

ქ.თბილისი

2016 წლის 26 ოქტომბერი

სადისციპლინო კომისიის სხდომა ჩატარდა 2016 წლის 26 ოქტომბერს ა.ა.ი.პ. „საქართველოს რაგბის კავშირი“-ს ოფისში, მდებარე ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. №49ა.

სადისციპლინო კომისიის სხდომა მოწვეულ იქნა კომისიის თავმჯდომარის დავალებით, სადისციპლინო კომისიის წევრებისთვის შეტყობინებისა და დღის წესრიგის გაგზავნის გზით.

სხდომას ესწრებოდა კომისიის 8 წევრიდან 4 წევრი. სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის მე-5 მუხლის 5.11. პუნქტის თანახმად, სხდომა გამოცხადდა გადაწყვეტილებაუნარიანად, ამის გამო არცერთ დამსწრე წევრს პრეტენზია არ გამოუთქვამს.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრები: მირიან თავზარაშვილი, ედუარდ ნაჭყებია, ვახტანგ სამხარაძე, ირაკლი ჩიქავა.

სხდომას უძღვებოდა კომისიის თავმჯდომარე, მირიან თავზარაშვილი.

სადისციპლინო კომისიამ ზემოაღნიშნული შემადგენლობით, განიხილა სრკ საშუაგბრო კომიტეტის თავმჯდომარის ნ. მამრიკიშვილის მომართვა, მატჩის მეთვალყურის ზურაბ შავგულიძის ოქმი და მატჩის მთავარი მსაჯის პაპუნა ჭიქაბერიძის მოხსენებითი ბარათი, ამა წლის 23 ოქტომბერს, რეგიონალური ლიგის კალენდარულ მატჩზე წყალტუბოს „წყალტუბო“-სა და ქედის „ფირალებს“ შორის მომხდარი ფაქტის შესახებ.

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

თამაშის მეორე ნახევარში, მოდნიდან ყვითელი ბარათით გაძევებული წყალტუბოს „წყალტუბო“-ს მორაგბე ზაზა ჩირგაძე, მსაჯის ნებართვის გარეშე შევიდა სათამაშო მოედანზე და საჯაროდ აპელირებდა მთავარი მსაჯის გადაწყვეტილებაზე, რასაც შემდგომში მოჰყვა მაყურებელთა სათამაშო მოედანზე გადასვლა, მთავარი მსაჯის მიმართ აგრესიული საქციელი და სიტყვიერი შეურაცხყოფა. ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, მატჩის მთავარი მსაჯი პ. ჭიქაბერიძე იძულებული გახდა შეეწყვიტა თამაში.

სრკ სადისციპლინო კომისიამ იხელმძღვანელა სრკ სადისციპლინო კოდექსის 2.1.18, 2.2.5 სრკ სადისციპლინო კოდექსის დანართი N 1-ის 1.17 და 2.5 პუნქტებით და ერთხმად მიიღო შემდეგი

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

1. კლუბ წყალტუბოს „წყალტუბოს“-ს რეგიონალურ ლიგაში, ჩაეთვალოს წაგება და დაჯარიმდეს 2000 (ორი ათასი) ლარით.
2. კლუბ წყალტუბოს „წყალტუბო“-ს მორაგბე ზაზა ჩირგაძე დისკვალიფიცირებული იქნას 8(რვა) სათამაშო კვირით, ხოლო კლუბი დაჯარიმდეს 1000(ათასი) ლარით.
3. კლუბის მიერ ფულადი ჯარიმის 7 კალენდარული დღის ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, ამოქმედდება სადისციპლინო კოდექსის დანართი №1-ის 1.17 და 2.5 პუნქტები და კლუბ წყალტუბოს „წყალტუბო“-ს, რეგიონალურ ლიგაში დააკლდება 12 (თორმეტი) საცხრილო ქულა.

სრკ სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარე



/მ.თავზარაშვილი/